ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 29 მარტის ბიუროს რიგგარეშე სხდომის

დღის წესრიგი

1.ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 30 მარტის საკრებულოს რიგგარეშე სხდომის დღის წესრიგის დამტკიცების შესახებ

მომხს: მანანა ბარბაქაძე

2.ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 05 აპრილის საკრებულოს მორიგი სხდომის დღის წესრიგში ცვლილების შეტანის შესახებ

მომხს: მანანა ბარბაქაძე

საკრებულოს თავმჯდომარე მანანა ბარბაქაძე

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს 2021 წლის 29 მარტის სხდომის

ო ქ მ ი №7

დ. ხარაგაული

9 აპრილის ქ. #15

29 მარტი 2021 წელი

სხდომას თავმჯდომარეობდა - **მანანა ბარბაქაძე** - საკრებულოს თავმჯდომარე

სხდომას ესწრებოდნენ ბიუროს წევრები:

რუსუდან გიორგაძე - **საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე**

პავლე კიკალიშვილი საკრებულოს საფინანსო - საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე,

მალხაზი ფხალაძე - საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ინფრასტრუქტურის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე,

ოთარ ლურსმანაშვილი - საკრებულოს იურიდიული, სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე,

გივი თხელიძე- საკრებულოს ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე,

დავით კიკნაძე განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარე.

ინგა მაღრაძე ფრაქცია „თვითმმართველობა ხალხისათვის“ თავმჯდომარე

თორნიკე ავალიშვილი- ფრაქცია ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობა-ძალა ერთობაშია“ - თავმჯდომარე

იუზა კელენჯერიძე - ფრაქცია „ ქართული ოცნება - მრეწველები“ - ს“ თავმჯდომარე,

მერიის წარმომადგენლები:

ვარლამ ჭიპაშვილი - მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე,

ვლადიმერ გელაშვილი- ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო - საბიუჯეტო სამსახურის უფროსი,

ნანა კიკნაძე - ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალური დაცვის სამსახურის უფროსი,

რუსუდან გურგენიძე - ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის სპეციალისტი,

პეტრე შარიქაძე-ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურისა და კეთილმოწყობის სამსახურის განყოფილების უფროსი

საინფორმაციო საშუალებათა წარმომადგენლები:

თ. მაღრაძე -ა.ა.ი.პ ,,მოქალაქეთა ჩართულობისა და ინფორმირების ცენტრი"-ს ჟურნალისტი ,

მ. შათირიშვილი - მერიის ადმინისტრაციული სამსახურის საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილების სპეციალისტი

ს. გლუნჩაძე -მერიის ადმინისტრაციული სამსახურის საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილებისოპერატორი.

საკრებულოს აპარატი:

ლ. კალანდაძე - საკრებულოს აპარატის უფროსი,

ზ. ორბელაძე - საკრებულოს აპარატის უფროსი სპეციალისტი საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხებში

მოისმინეს: სხდომის თავმჯდომარის მანანა ბარბაქაძის ინფორმაცია, რომელმაც ბიუროს წევრებს გააცნო ბიუროს სხდომის დღის წესრიგი და საკითხთა ნუსხა,

დღის წესრიგი

1.ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 30 მარტის

საკრებულოს რიგგარეშე სხდომის დღის წესრიგის დამტკიცების შესახებ

მომხს: მანანა ბარბაქაძე

2.ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 05 აპრილის

საკრებულოს მორიგი სხდომის დღის წესრიგში ცვლილების შეტანის შესახებ

მომხს: მანანა ბარბაქაძე

საკითხთა ნუსხა

საკითხთა ნუსხა 30 მარტის საკრებულოს რიგგარეშე სხდომისათვის

1. საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში მერის მიერ წარმოდგენილი პროექტების დამტკიცებისა და ხარაგაულის მუნიციპალიტეტისათვის გამოყოფილი თანხის დასახლებების მიხედვით განაწილების შესახებ

მომხს: ზურაბ ბანცაძე

2. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 14 ივლისის N19 დადგენილებაში „ ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის პოლიტიკური თანამდებობის პირთა, პროფესიულ საჯარო მოხელეთა და ადმინისტრაციული ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოების განხაზღვრის შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე

მომხს: კახაბერ გოლუბიანი

3. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 20 იანვრის N50/3 განკარგულებაში „ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიისათვის დამხმარე ამოცანების შესასრულებლად შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობის შეზღუდვიდან გამონაკლის დაშვებაზე თანხმობის მიცემის შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე

მომხს: კახაბერ გოლუბიანი

4.ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 23 დეკემბრის N23 დადგენილებაში „ხარაგაულის მუნიციპალიტეტის თვითმმართველი ერთეულის 2021 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე

მომხს: ვლადიმერ გელაშვილი

საკითხთა ნუსხა 05 აპრილის საკრებულოს მორიგი სხდომისათვის

1. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული სოფელ ბორითის ადმინისტრაციული შენობაში მდებარე 16.24 კვ.მ ფართის (ს/კ 36.03.41. 006. 01. 500) ფიზიკური პირის ნათია ჭუმპურიძეს -ათვის პირდაპირი **განკარგვის წესით სასყიდლით, იჯარის ფორმით, სამი წლის ვადით გადასაცემად ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერისთვის** თანხმობის მიცემის შესახებ

მომხს: **რუსუდან გურგენიძე**

2. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 2 სექტემბრის №35 დადგენილებაში ,,ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალური დაცვის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ ''ცვლილების შეტანის თაობაზე

მომხს: ალექსანდრე ტაბატაძე

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა წინადადება დღის წესრიგისა და საკითხთა ნუსხის დამტკიცების თაობაზე .

კენჭისყრაში მონაწილეობას იღებდა ბიუროს 10 წევრი:

მომხრე 10

წინააღმდეგი 0.

დღის წესრიგი და საკითხთა ნუსხა დამტკიცებული იქნა(თან ერთვის).

მოისმინეს: ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურისა და კეთილმოწყობის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებლის ზურაბ ბანცაძის ინფორმაცია საკითხზე - საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში მერის მიერ წარმოდგენილი პროექტების დამტკიცებისა და ხარაგაულის მუნიციპალიტეტისათვის გამოყოფილი თანხის დასახლებების მიხედვით განაწილების შესახებ

აზრი გამოთქვეს:

მ. ფხალაძემ, რომელმაც აღნიშნა, რომ პროექტები, რომლებიც ნუსხაში არის წარმოდგენილი, მოსახლეობის მიერ იქნა შერჩეული და ჩვენთვისაც ცნობილია, იმედია, რომ მოსახლეობას ნაწილობრივ მაინც დაუკმაყოფილებთ მოთხოვნებს.

დ კიკნაძემ, რომელმაც კითხვით მიმართა მომხსენებელს თუ მიმდინარეობს მუშაობა, რომ სოფლის პროექტების სამუშაოების მიმდინარეობის პროცესში გამოიყოფა ადგილობრივი კარიერები ინერტული მასალის მოსაპოვებლად.

პ. შარიქაძემ უპასუხა, რომ ამ კუთხით მიმდინარეობს მუშაობა, ვფიქრობთ ზონალურად მაინც შევძლებთ მივაღწევთ შედეგს, იმედი გვაქვს.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხის 2021 წლის 30 მარტის საკრებულოს რიგგარეშე სხდომის დღის წესრიგში შეტანასთან დაკავშირებით

კენჭისყრაში მონაწილეობას იღებდა ბიუროს 10 წევრი:

მომხრე -10

წინააღმდეგი 0.

ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება:

1. საკითხი შეტანილ იქნეს საკრებულოს 2021 წლის 30 მარტის რიგგარეშე სხდომის დღის წესრიგში (თან ერთვის).

2.საკითხის განხილვა დაევალა საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ინფრასტრუქტურის საკითხა კომისიის თავმჯდომარეს მალხაზ ფხალაძეს.

მოისმინეს: სარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსის კახაბერ გოლუბიანის ინფორმაცია საკითხზე - ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 20 იანვრის N50/3 განკარგულებაში „ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიისათვის დამხმარე ამოცანების შესასრულებლად შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობის შეზღუდვიდან გამონაკლისის დაშვებაზე თანხმობის მიცემის შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე

აზრი გამოთქვეს:

თ. ავალიშვილმა მომხსენებელს მოსთხოვა დასაბუთება თუ რა აუცილებლობით არის გამოწვეული არსებული ხელშეკრულებით თანამშრომელთა რაოდენობის ზრდა, რა სამუშაო უნდა შეასრულონ მათმა.

კ. გოლუბიანმა განმარტა, რომ ეს თანამშრომლები გადანაწილდებიან ბავშვთა ოთახში ფსიქოლოგის, იურისტის და სოც მუშაკის ფუნქციით ასევე დიდ ადმინისტრაციულ ერთეულებს დაემატება სპეციალისტები, რომლებიც გაუწევენ დახმარებას მერის წარმომადგენლებს მათი უფლებამოსილების განხორციელებაში..

პ. კიკალიშვილმა აღნიშნა, რომ ლაშე არის დიდი ადმინისტრაციული ერთეული გვინდა იქ ზონალურად გადავანაწილოთ სპეციალისტები, რომლებიც რწმუნებულს დაეხმარებიან სოფლის პროექტების მიმდინარე სხვა საკითხების გაკონტროლებაში.

დ. კიკნაძემ აღნიშნა, რომ ის მოძრაობს სოფელში და ამჩნევს, რომ გაიზარდა მიწის რეგისტრაციის საკითხები, მოქალაქეები ირეგისტრირებენ საკუთრებაში მიწას, რაც კარგია. ერთი რწმუნებული ვერ შეძლებს ყველგან მისვლას და გადამოწმებას საკითხისას, ამიტომ ეს სპეციალისტი დაეხმარება და შესაბამისი დოკუმენტების გაფორმებაც მოხდება უფრო მალე, ვიდრე ეს ერთი წარმომადგენლის მიერ მოხდებოდა.

ი. მაღრაძემ აღნიშნა, რომ თქვენი ლოგიკით, რომ ვიმსჯელო ლეღვანში,სადაც ტურისტული პოტენციალია ერთი ინგლისური ენის მცოდნე სპეციალისტს ავიყვანდი, მაგრამ სინამდვილეში ეს რასაც თქვენ აკეთებთ არის დანაშაული.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხის 2021 წლის 30 მარტის საკრებულოს რიგგარეშე სხდომის დღის წესრიგში შეტანასთან დაკავშირებით

კენჭისყრაში მონაწილეობას იღებდა ბიუროს 10 წევრი:

მომხრე -10

წინააღმდეგი 0.

ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება:

1. საკითხი შეტანილ იქნეს საკრებულოს 2021 წლის 30 მარტის რიგგარეშე სხდომის დღის წესრიგში.
2. საკითხის განხილვა დაევალა საკრებულოს საფინანსო - საბიუჯეტო და იურიდიულ, სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიებს

მოისმინეს: ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსის კახაბერ გოლუბიანის ინფორმაცია საკითხზე -ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 14 ივლისის N19 დადგენილებაში „ ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის პოლიტიკური თანამდებობის პირთა, პროფესიულ საჯარო მოხელეთა და ადმინისტრაციული ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოების განხაზღვრის შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხის 2021 წლის 30 მარტის

საკრებულოს რიგგარეშე სხდომის დღის წესრიგში შეტანასთან დაკავშირებით

კენჭისყრაში მონაწილეობას იღებდა ბიუროს 10 წევრი:

მომხრე -10

წინააღმდეგი 0.

ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება:

1.საკითხი შეტანილ იქნეს საკრებულოს 2021 წლის 30 მარტის რიგგარეშე სხდომის დღის წესრიგში.

2.საკითხის განხილვა დაევალა საკრებულოს საფინანსო - საბიუჯეტო და იურიდიულ, სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიებს

მოისმინეს: სარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო - საბიუჯეტო სამსახურის უფროსის ვლადიმერ გელაშვილის ინფორმაცია საკითხზ- ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 23 დეკემბრის N23 დადგენილებაშ„ხარაგაულის მუნიციპალიტეტის თვითმმართველი ერთეულის 2021 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხის 2021 წლის 30 მარტის

საკრებულოს რიგგარეშე სხდომის დღის წესრიგში შეტანასთან დაკავშირებით

კენჭისყრაში მონაწილეობას იღებდა ბიუროს 10 წევრი:

მომხრე -10

წინააღმდეგი 0.

ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება:

1.საკითხი შეტანილ იქნეს საკრებულოს 2021 წლის 30 მარტის რიგგარეშე სხდომის დღის წესრიგში.

2.საკითხის განხილვა დაევალა საკრებულოს საფინანსო - საბიუჯეტო კომისიას.

მოისმინეს: ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებლის რუსუდან გურგენიძის

ინფორმაცია საკითხზე -ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული სოფელ ბორითის ადმინისტრაციული შენობაში მდებარე 16.24 კვ.მ ფართის (ს/კ 36.03.41. 006. 01. 500) ფიზიკური პირის ნათია ჭუმპურიძეს -ათვის **პირდაპირი განკარგვის წესით სასყიდლით,** იჯარის ფორმით, სამი წლის ვადით გადასაცემად **ხარაგაულის მუნიციპალიტეტის** მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხის 2021 წლის 05 აპრილის საკრებულოს მორიგი სხდომის დღის წესრიგში შეტანასთან დაკავშირებით

კენჭისყრაში მონაწილეობას იღებდა ბიუროს 10 წევრი:

მომხრე -10

წინააღმდეგი 0.

ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება:

1.საკითხი შეტანილ იქნეს საკრებულოს 2021 წლის 05 მარტის მორიგი სხდომის დღის წესრიგში.

2.საკითხის განხილვა დაევალა საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ინფრასტრუქტურის კომისიას.

მოისმინეს: ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური დაცვისა და ჯანდაცვის სამსახურის განყოფილების უფროსის ალექსანდრე ტაბატაძი ინფორმაცია საკითხზე -ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 2 სექტემბრის №35 დადგენილებაში ,,ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალური დაცვის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ ''ცვლილების შეტანის თაობაზე.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხის 2021 წლის 05 აპრილის საკრებულოს მორიგი სხდომის დღის წესრიგში შეტანასთან დაკავშირებით

კენჭისყრაში მონაწილეობას იღებდა ბიუროს 10 წევრი:

მომხრე -10

წინააღმდეგი 0.

ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება:

1.საკითხი შეტანილ იქნეს საკრებულოს 2021 წლის 05 მარტის მორიგი სხდომის დღის წესრიგში.

2.საკითხის განხილვა დაევალა საკრებულოს ჯანდაცვისა და სოციალური დაცვის კომისიას

ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება:

1. დამტკიცდეს 2021 წლის 30 მარტის საკრებულოს რიგგარეშე სხდომის დღის წესრიგი (თან ერთვის).

2. დამტკიცდეს 2021 წლის 05 აპრილის საკრებულოს მორიგი სხდომის დღის წესრიგი (თან ერთვის).

ამით ბიუროს სხდომის მიერ განსახილველი საკითხი ამოიწურა და სხდომა დახურულად გამოცხადდა.

სხდომის თავმჯდომარე მანანა ბარბაქაძე